

ლიცენზირებული საშუალო

საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშუალოს მოამბის“ ღამათება
№5, 2 ივნისი, ორშაბათი, 2025 წელი

 ერთი ლექსი


ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა დავით-მეფე – აღმაშენებელი,
ყოფილან ოპიზრები – გასაშტერებელი;
ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა ნიკოფსით – დარუბანდამდე
გაჭენებული და გამოჭენებული;
რტოებგაშლილი და გამოჩინებული,
ყოფილა ორ-ზღვას-შუა აღმოცენებული.
ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
ტევრი გვინაღდია, ისე გვიზარდია,
რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად...
მაგრამ უცაბედად მატლი არეულა,
ბორბალი უკუღმა დატრიალებულა!..
ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი,
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი!
ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ!
ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა,
იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა...
ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლები უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია.
– რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! –
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
ამას მოჰყოლია: „ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“
ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!..

მუჰამად რეზანიძე



პოეზია



„ლიტერატურული ხაზი“ საიუბილეო თარიღს ულოცავს სამაჩაბლოდან დევნილ მრავალმხრივ ნიჭიერ შემოქმედს, პოეტს, კომპოზიტორსა და მუსიკოსს **შოთა დარბუაშვილს**. მხნეობასა და წელთა სიმრავლეს უსურვებს.

შოთა დარბუაშვილი - 70

* * *

გზავ, მოფენილო სევდით,
საით მიგყავარ, სად?!
მომწყურდა სიხარული,
მდინარე, ცა და... სხვა...
ტალღა მოშორდა ნაპირს,
შორით გაცურა ზღვა,
შენ ისევ გჯერა ზღაპრის
და სიყვარული გნამს...
და ნეტარია სული,
ხუთი უკლია ცხრას,
დღეა სინათლით მთვრალი,
მთვარეს უვარცხნის თმას...
მე სიყვარული მწამდა,
დავატარებდი ჩანგს,
მაგრამ ცხოვრების წლებმა
ფიქრი მასწავლეს სხვა.
სიცოცხლე ქარდაკრული
არის ბილიკი ცხრა...
და მარტო გაზაფხული
ვერ აგიმღერებს ქნარს...

ორი ლექსი...

შუქსევდიანი ღამე,
ალბათ, მეც ლექსი მომკლავს...
ფილტვებს შეაშრა მთვარე,
ამალამ თოვლი მოვა...
დღეს დასრულდება მარტი
და შეიძლება, დილა,
მეათასეა დარდი,
ათასჯერ ვფიქრობ:
ვინ ვარ?!
დროის საკანში ვზივარ,
სადაა ჩემი ბინა?
ისევ სატანა მტანჯავს,
მოველი უცხო ფინალს...
იმედით ცის და უფლის
ჩემთან იწყებენ დავას,
არავის გედავებით,
მე ჩემი გზებით დავალ...

მენატრება

მზე კი მათბობს –
დასავლეთით ჩამავალი,
იასამნის სუნი მათრობს
ციდან ცისა!
ნეტავ იმ დროს...
მოგონება შემრჩა მხოლოდ
და სიმღერას გულში ვმღერი,
ცხინვალისას...

ნუ გადამივინებ...

ღრუბელი აივანზე ქარმა შემოდენა,
სტრიქონს ვწყვეტ მეხუთე ხმოვანზე...
ნუ გადამივინებ, ახლა მაისია,
ნუ გადამივინებ ხსოვნამდე.
შენ ხარ ათინათი, გრძნობით სავსე მნათი,
ცხოვრება მდუმარება აქამდე,
ბედი უშენობით თითქმის განწირული,
ისევ დამიბრუნე, გადამდე...
ნისლი მორევია მყინვარს, მთაქათქათას,
რალად ამირიე აზრები?
უკვე ხელისგულზე ფეთქავს მომავალი,
ვფიქრობ, აღარა ვართ ბავშვები!
ერთად გავიაროთ ჩვენი გასავლელი...
შევხვდით ციცაბო კლდის კიდეზე,
ახლა, უშენობით გრძნობადაზაფრული,
ვზივარ მოლოდინის კიბეზე.

* * *


ახლა ისეთი ქარები ქრიან,
ამინდის ცნობა ძალზე ძნელია...
ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთით,
დასავლეთიდან „გვიან და გვიან“.
ასე, მსოფლიო რომ არის ახლა,
არც მე არ მინდა, ასეთი იყოს,
არის ცოდვილთა აქ ჭაპანწყვეტა
და არაფერი, რაც გინდა იყოს!
ირგვლივ თებერვლის კორიანტელი,
თეთრი „დათვების“ ყრუ ვერაგობა,
გამეფდებიან უცხო მეფენი,
დავრჩეთ სამშობლოს ერთგულ კაცებად,
გზაგასაყართან მხნე შეძახილი:
„მამული, ენა, სარწმუნოება!!!“

ჩემდა სახსოვრად

აი, იმ გოგოს, მგონი ვუყვარვარ,
ვაითუ მართლა დამადგა თვალი,
რაც გაავდარდა, აღარ მინახავს,
იყო დღეები, და ჩუმი დარდი...
აი, იმ ბიჭმა თუ შემეყვარა,
მე ბედნიერი ვიქნები ქალი,
ჰოი, უბინო გულუბრყვილობავ,
ჩემდა სახსოვრად დაგრჩება ჯავრი.

მეგობრებს

ჩემი სამყარო წამომცდება
მე ხშირად სხვებში
და იკარგება
ეს ხატება
ნამთვრალე ხმებში...
ანდა, ჰკვირობენ:
რად ჰფიქრობსო იგი
სხვაგვარად?
ისიც ხომ ჩვენი ტოლია და,
განზე გამდგარა.
რა გიპასუხოთ?
ამ საწუთრომ
ხელი დამრია
და ჩემი ყოფნა მასში
ვგონებ, მართლაც,
მ ც დ ა რ ი ა...



ლიახვში ჩანურული ცრემლი...

(შოთა დარბუაშვილი – 70)

შოთა დარბუაშვილი ტკივილით სავსე პოეტია. ნამდვილი პოეტი მუდამ ტკივილიანია, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორმაგ ტკივილთან – პოეტად დაბადება და მშობლიური კუთხის დაკარგვით გაუსაძლისი სევდა.

შოთას თვალებში ისეთივე ნალევლია, როგორც სამაჩაბლოში მოყვარე მტრისგან თვალებდათხრილი თირის მონასტრისა, საიდანაც აზვირთებული ცრემლები ლიახვში იწურება.

70 წელი გასულა მისი დაბადებიდან! აქედან უმეტესი ნაწილი დევნილობის წლებმა შეიწირა!

მინდა იუბილე მივულოცო და ვულოცავ კიდევ, თან მტკივა ჩვენი ქვეყნის ნაწილი – უსამაჩაბლო და უაფხაზეთო საქართველო!

შოთა დარბუაშვილი ცხინვალის მოსიარულე სავიზიტო ბარათია, მაგრამ ბარათზე მითითებული მისამართი ჯერჯერობით მხოლოდ ცარიელი აკვნების დაგიდგვია...

მზია ხეთაგური – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი

შოთა დარბუაშვილი 70

შოთა დარბუაშვილის სახელი ჯერ კიდევ 70-იანი წლების კოპნია ცხინვალმა აიტაცა და სრულიად საქართველოს გაუნაწილა. ცხინვალმა, რომელმაც ჭეშმარიტად ქართული სულიერება შექმნა თავისი კულტურით.

ამ მრავალეროვანი ქალაქის მშვიდობიანი თანაცხოვრების წიაღში დაიბადა და გაიზარდა შოთა დარბუაშვილი და 15 წლის ასაკში ანსამბლის „ბონვარონი“ ტრიუმფს ეზიარა სრულიად საქართველოს მასშტაბით. 1988-90-იან წლებში კი, მისი სამხატვრო ხემძღვანელიც გახლდათ. ანსამბლი „ბონვარონი“, ამჯერად, შოთა დარბუაშვილის გარეშე, ჩრდილოეთ კავკასიაში აგრძელებს მოღვაწეობას. თავად შოთა კი, აგერ უკვე 40 ათეულ წელზე მეტია, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „ლიახვის“ სოლისტია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება შოთა დარბუაშვილის ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა. ეს ის ადამიანია, რომელიც წარსულის ლაბირინთებიდან ლამაზი წუთების გამოხმობას ლიტერატურის გზით ახერხებს.

შოთა დარბუაშვილს მიღებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, გახლავთ საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. არის ხუთი პოეტური კრებულის და ათეულობით სიმღერის ავტორი. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთების: „მიდა ქართლი“ და „ლიტერატურული ცხინვალი“ სპეც. კორესპოდენტად კონფლიქტის ზონაში. დღეს იგი წმინდა დიმიტრი ყიფიანის სამსახურშია; ცხინვალის შემდეგ ქვიშხეთი – დედუღეთია მისი სავანე...

პოეტურ აღმართზე ადიოდა ლექსი, როგორც ნეტარება სულისა და მურმან ლებანიძის მიერ შემჩნეული, დროს ადევნებული პოეტი მართალ სიტყვას ამბობდა შუბლშეჭმუნული ცხოვრების სცენიდან.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად საზღვარგაღმოსავლეთილი შემოქმედი დღემდე, თავის დაკარგულ სამოთხეს დაეძებს... დგას იქ, სადაც ბიძგს აღარავინ და აღარაფერი იძლევა, მაგრამ დევნილის მუხლით ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, მაინც ახერხებს, ესთეტიური სიამოვნება მიანიჭოს მკითხველს. მისი ცხოვრების პალიტრაზე სევდის ფერები დომინირებს და ასე, ნალევლში ამონობილი ფუნჯით იხატება წარსული... ფერები რომ ეყოს, აუცილებლად დახატავდა დიდ მზეს, ისეთს, ჩრდილო საქართველო რომ გაეთბო...

შოთა დარბუაშვილის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს სტიგმა დევნილობისა...

და თუ პოეტი, ზოგადად, სამყაროს ტკივილიანი ხმაა, მაშინ რა უნდა ვუწოდოთ ხმას, დევნილი პოეტისას, თუ არა პროტესტი ყრუ სამყაროსადმი, რომელიც პაოლოსადმი მიძღვნილ სტრიქონებში ცხელ შუბლს ტყვიისთვის იმეტებს და დამნაშავესაც ამხელს:

„მერე რა, რომ სხვა დროა, დრო ყოველთვის ტყუის!..“

30 მაისს, ეგრეთწოდებული „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია“ საიუბილეო საღამოს უმართავს ღვანლმოსილ შემოქმედს.

კლარა გელაშვილი –

პოეტი, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი



მარინა ღონღაძის „ნიჟარის ბეჭედი“ და ჩვენ – მკითხველები...

22 მაისს ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების სივრცეში მარინა ღონღაძის ახალი კრებულის „ნიჟარის ბეჭედი“ წარდგინება და პოეზიის საღამო მოეწყო.

პოეზიის სურნელით გაჯერებული სიტბო უზვად ტრიალებდა ირგვლივ და ავტორის მიერ გულის გულიდან ამოხეთქილ სტრიქონებად ეფინებოდა ბიბლიოთეკაში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას.

საღამოზე ბევრი ითქვა მარინა ღონღაძის პიროვნული თვისებებისა და მისი შემოქმედების შესახებ, რაც სრული ჰარმონიით ერთდროულად არის მასში შერწყმული.

„როცა სულ პირველად მარინას ლექსს მივაყურადეთ, ვაიძულეთ, სამზეოზე გამოეტანა. ასე გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე კაფანდარა, დღემდე მეოცნებე გოგონად დარჩენილი ქალბატონი.

რამდენიმე წლის შემდეგ მისი მეორე კრებული „მე შენ გიპოვე“ დაიბეჭდა. სულ ახლახან კი მესამე წიგნი „ნიჟარის ბეჭედი“ დაიბადა, სადაც ლექსებთან ერთად, ნოველებიც არის შესული.

პოეტი სამყაროს საყვირიო და, შემოქმედი ქალბატონი ფეხდაფეხ ასდევნებია წუთისოფელს; მისი ფაქიზი სული ხან ქვა-ღორღს ეხლება, ხან ზეცის ცრემლებით ილუმპება და ხანაც მავედრებელი თვალი აქვს მზისკენ მიპყრობილი...

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მისი გულწრფელი ემოცია გადამდებია. მის თვალეში მუდმივი მზადყოფნა იკითხება – ხელი გაუწოდოს ნაქცეულს, თანაუგრძნოს და წამოაყენოს...

უყვარს სამშობლო, უყვარს ყველა და ყველაფერი მის ირგვლივ. იგი სამყაროს კედლებზე ეძებს დრო-ჟამისგან გაუფერულებულ „ფრესკებს“ და ლექსის გარდა, ვერავის უმხელს ტკივილს.“ – ამ სიტყვებით მიესათუთა მარინა ღონღაძის შემოქმედებას საღამოს ორგანიზატორი, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი კლარა გელაშვილი და პოეტი ქალის შემოქმედების გულშემატკივართა საერთო განწყობა გაამთლიანა.



სხვა ნაწი

გიყვარს, უყვარხარ, ელი და გელის,
გრძნობ, მის გარეშე არ შეგიძლია.
მისი ცხოვრების ხარ განუყრელი,
შენი დარდია, შენი ფიქრია.
მისთვის ლოცულობ, დღეს უზიარებ,
ისიც ყველა ფიქრს, განსაცდელს განდობს,
ჭირსა თუ ლხინში, ავდარში, დარში,
არსად, არასდროს არ ტოვებ მარტოს.
ერთ მშვენიერ დღეს სხვა ნაწი ჯდება,
აღარც ახსოვხარ, არც გელოდება,
ტყუილად ელი, უშენოდაც ძლებს
და შენი დარდიც არ ედარდება.
თავს ებრძვი, წყენას ხედები მოთმენით,
ფიქრობ, მიხვდება, გწამს, რომ გაიგებს,
კითხვა გაქვს, რატომ? ვერ ხედები – რისთვის?
ის კი მიცურავს სულ სხვა ნაპირზე.

მარინა ღონღაძე



ყვითელი ნათელი

მამა

მისთვის და მისი თაობისათვის 9 მაისი სრულიად განსაკუთრებული დღე იყო. მისი ცხოვრებაც სწორედ იმ გამარჯვების 9 მაისმა აქცია განსაკუთრებულად, საამაყოდ, ამაღლებულად.

მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვს ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორ ემზადებოდა ამ დღისთვის. როგორ აისხამდა პიჯაკზე საბრძოლო თუ შრომითი წარმატებებისათვის მიღებულ მედლებს და ორდენებს, როგორ გააყოლებდნენ მეზობლები თვალს.

ახოვან, გრუზათმიან, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელ შავგვრემან სახეს ძალზედ შვენიოდა სქელი ულვაშები.

მამა... ჩემი ნაომარი, ნაჯაფი, მაგრამ მხნე, გაუტყეხელი, შემართული მამა...

როცა გარდაიცვალა, მახსოვს, მის დაკრძალვაზე ერთმა კარგმა კაცმა თქვა:

– მიხეილისნაირი ადამიანებით მოდიოდა საქართველო საუკუნეებიდან საუკუნეებში და მოჰქონდა ის წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლითაც ჩვენმა შვილებმა უნდა იამაყონო.

ახლა, როდესაც ამ ტრადიციებს და ზნე-ჩვეულებებს თანდათან ავიწყებენ ადამიანებს, მე განსაკუთრებით ვფიქრობ ჩვენს მშობლებზე, რომელთათვისაც სინდის-ნამუსი და ერთგულება უპირველეს ნიშან-თვისებას წარმოადგენდა.

ჩვენს სახლში ხუთნი ვიყავით – მშობლები და ჩემი ორი და. ჩემი მშობლები არაფრიდან იწყებდნენ ცხოვრებას და ყოველი ახალი ნივთისა თუ საგნის შეძენა თითოეული ჩვენგანისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. ჩემი მშობლები ქმნიდნენ და ადუღებდნენ ქართულ ოჯახს, რომლის უმთავრესი მამოძრავებელი სიმართლე და სიკეთე უნდა ყოფილიყო.

მამა მუხლჩაუხრელად შრომობდა. ომამდე სავაგონო დეპოში დაიწყო მუშაობა, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ბიჭმა. არმიაში რომ გაიწვიეს, სამი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ, უკვე მშობლიურადქცეულ სავაგონო დეპოსკენ უწევდა გული, მაგრამ მის სურვილს კარგა ხანს არ ეწერა ასრულება. ბედის ბორბალს ის ჯერ მეომრად უნდა ექცია, ფინეთის, ბელორუსიის, უკრაინის ფრონტებზე ებრძოლა, ბრძოლით უნდა გაეცლო უკრაინა, პოლონეთი, გადაეღახა კარპატები, ჩეხოსლოვაკიაც და უნგრეთიც და გამარჯვების დღეს ბერლინში უნდა შეხვედროდა.

ამ დროისათვის ფრონტზე მოხალისედ წასული მისი უმცროსი ძმა დიმიტრი უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო და ეს ამბავი მას სახლში დაბრუნების შემდეგ უნდა გაეგო. ბოლომდე იმედს არ კარგავდა ოჯახის დედა, პაპაჩემსაც სჯეროდა, რომ მათ უმცროს ვაჟს მტერი ვერაფერს დააკლებდა. ამ რწმენით ჩავიდნენ საფლავშიც, თუმცა, ბებოს შავი არ გაუხდია. გლოვობდა შვილს, მაგრამ იმედსაც არ კარგავდა.

მამა კი, დემობილიზებული, უკვე ოცდაათს მიღწეული, ნაომარი, ტანადი და ეშხიანი ვაჟკაცი, თავისი სოფლის გოგონები აჩრდილივით რომ დასდევნენ, ოჯახის შექმნას გადანყევტს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნატა ლობჟანიძეს თხოვს ქალიშვილის ხელს და ისიც რატომ ეტყვის უარს ასეთ სასიძოს?

დედა ბიბლიოთეკაში თერთმეტწლიან მოღვაწეობას თავს დაანებებს და ასე შეიქმნება ჩვენი ოჯახი.

არის 1946 წლის ოქტომბერი... ხაშურში, ნაქირავებ ბინაში მცხოვრებ ცოლ-ქმარს, ვიდრე დედა-ნატა მზითვს გაუმზადებს, ელემენტარული ნივთებიც არ აქვთ, მაგრამ აქვთ დიდი პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სამშობლოს წინაშე.

მეორე წლის ოქტომბერში პირველი შვილი აახმაურებს სხვის ქერს. ჩემი უფროსი და ნანი ლამის წლისაა. მამაჩემს – უკვე მოწინავე რკინიგზელს, სამოთახიანი ბინის ერთ ოთახს რომ აძლევენ, და, მიუხედავად იმისა, ეს ოთახი ერთდროულად მისაღებიცაა, საწოლიც და სამზარეულოც, ჩემი მშობლები მაინც ბედნიერები არიან, რადგან საკუთარი ქერი აქვთ.

მამა მუხლჩაუხრელად შრომობს. მასზე რესპუბლიკური და საკავშირო გაზეთებიც ხშირად წერენ, როგორც ხაშურის სავაგონო დეპოს მოწინავე მუშაზე. გამოცდილების გასაზიარებლად კი, სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის სარკინიგზო უწყებებში იწვევენ... ოჯახიც იზრდება. უკვე მეორე გოგონა ახმინებს კედლებს. ამიტომ, ჩემს მშობლებს აფართოებენ. იმავე ბინაში

ახლა უკვე მათ ერთი დიდი ოთახი, სამზარეულო და შუშაბანდი აქვთ. მერე რა ვუყოთ, თუ სადარბაზო და სველი წერტილები საერთოა. გვერდითა ორ ოთახში სვანიძეების ოჯახი სახლობს. ლიზა და ევგენი სვანიძეები. მათი ვაჟი კოტე ექიმი უკვე ცოლ-შვილიანია და მასაც ორი გოგონა ჰყავს – ნათელა და ნანი. მანანა მერე მოევლინება ქვეყანას, უკვე საკუთარ სახლში.

ეკონომიურად ვცხოვრობთ, რადგან დედა ყველა ხელფასზე რალაცის შეძენას ცდილობს. ხელფასების აღების დღე ყველას გვიყვარს. ამ დროს ჩვენთან მამის თანამშრომლები იკრიბებიან და ლხინობენ. ჩვენ, ბავშვები, გვერდით ოთახში ვართ, იქიდან ვადევნებთ თვალს ჩვენი მშობლებისა და მათი მეგობრების ლხინს. მერე დედა გიტარას გადმოიღებს და ჩვენს სახლში საოცარი მელოდია იღვრება...

მამა გვიანობამდე შრომობს. დეპო ჩვენი სახლიდან შორს არ არის. ორი ჩიხის იქითაა. ჩვენ ხომ რკინიგზელთა უბანში ვცხოვრობთ. როცა ძალიან დააგვიანებს, ბავშვები გადავაკითხავთ. დეპოს უფროსი, „ოტიაშვილი პაპათი“ რომ მივმართოთ, ხელს მოგვხვევს და „ცეხისკენ“ მივყავართ. შესვლისთანავე ვხედავთ: მამა ჩარხთან დგას და გოგორწყვილებს ჩარხავს.

– გეყოფა, მიხეილ, წადი, დაისვენე, გვიანია, – ეუბნება უფროსი.

შინ მამასთან ერთად ვბრუნდებით. რა ბედნიერები ვართ, ასეთი ძლიერი მამა რომ გვყავს!..

წელ-წელა მივინევთ წინ. სვანიძეები საკუთარ სახლში გადადიან და ჩვენ მათი ორი ოთახიდან ერთს გვაძლევენ, ერთში კი სხვა ოჯახს ასახლებენ. ახალი ოთახის დამატება ყველას ძალიან გვიხარია. დედა „ზანავესკებს“ სპეციალურ ჩარჩოზე ჭიმავს და ასე გახამებულს ფანჯრებზე ჰკიდებს. ჩვენი სახლი მზითაა სავსე...

სკოლაში მიმავალმა „პერონი“ უნდა გავიარო. სადაც სპეციალურად მოწყობილ „სტენდზე“ მოწინავე ხაშურელი რკინიგზელების სურათებია გამოფენილი. იქ ჩემი მამის სურათიც ჰკიდია, რომელსაც ქვემოთ ასეთი წარწერა აქვს: „მთვარელიძე მიხეილ ივანეს ძე – ხარატი“.

როგორი სიამაყის გრძნობით ვუახლოვდები ამ სტენდს ყოველ გავლა-გამოვლისას. როგორ მინდა, მეც მამასავით მოწინავე ვიყო... და ვიქნები კიდევ, – პირობას, ვინ იცის, მერამდენედ ვაძლევ საკუთარ თავს.

– მთავარია, შენს საქმეს პატიოსნად და კეთილსინდისიერად აკეთებდე და რა პროფესიისა იქნები, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, – გვასწავლის მამა. წლების შემდეგ, როცა თავადაც გავხდები მამა და შვილები წამომეზრდებიან, მეც იგივეს ვეუბნები ჩემს შვილებს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პროფესორი იქნები თუ მუშა, პირველ რიგში მართალი ადამიანი უნდა იყო.

მამას ორი და ჰყავს და ხუთი დისშვილი. მისი გული ყველას სიყვარულს იტევს. დები მასზე საკმაოდ უმცროსები არიან. ცაცო-ნინო უროტაძეებს უზრდის სამ შვილს და დიდი და ტრადიციული ოჯახის ტვირთს ღირსეულად ზიდავს. თან სკოლაში მუშაობს. ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ჩვენი ჩასვლა ყოველთვის განსაკუთრებულად ახარებს. და ეს ახლაც ასეა!

უმცროს დას მარიამს უჭირს, გორში ცხოვრობს. შვილებს ბებო და პაპა უზრდიან და ჩვენ ეს პატარები განსაკუთრებულად გვიყვარს.

მერე, დრო რომ აირევა, ჩემი მამიდაშვილი ქმარ-შვილთან ერთად ვლადიკავკაზს მიაშურებს და ისე გაშორდება ნაადრევად ამ საწუთისოფლოს, რომ მისი სისხლი და ხორცი – ქართველი ბიძაშვილები და დეიდაშვილები ჩვენ ოს დას ვერ დავიტირებთ, სამარის კარამდე ვერ მივაცილებთ, ვერ გავაყოლებთ მშობლიური ქართული მიწის სურნელს.

მამა 1989 წლის 29 ოქტომბერს წაიქცევა. დიახ, წაიქცევა, რადგან ჯერ 72 წლის ენერგიულ და დაუზარელ ბერძუხას სიკვდილის ქარიშხალი ფეხზე მდგომს მოუსწრებს. უცბად, მოულოდნელად წამოაქცევს და ირგვლივ სინანულისა და ცრემლის ტალღებში კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს ამ ნაომარი, ღვანლმოსილი კაცის მიერ აქ დატოვებულ კეთილ საქმეებს...

ხვალ 9 მაისია. ფაშიზმის განადგურების წლისთავი, გინდაც, დიდი სამამულო ომი ერქვას, იმ თაობისათვის ის ხომ მართლაც დიდი სამამულო იყო. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის თქმისა, მაშინ ბევრად უფრო მყარად გვეპყრა ჩვენი მამული ქართველებს, ვიდრე დღეს.

ხვალ 9 მაისია... დღეს კი მამაჩემის ჯილდოებს, მედლებს, ორდენებს, სიგელებს, ყველა მის დოკუმენტს მაგიდაზე ვალაგებ და მშობლების სურათებს მადლიერებით შევყურებ.

მურად მთვარელიძე

ნელ-ნელა მივინევთ ბაქოში